

სიყვარული

განთავსების XXXX წელი, ფასი 20 კპვ.

თბილისის
საბავშვო ჟურნალი

ნახ. გ. ფიცხლაძის



1962

ჭერ სასახლე წამოვიმა,
შემოავლო ირგვლივ ზღუდე,
გაავსო და გამოტენა
მრავალ განძით თავის „ბუდე“.

ვინ დათვალოს მანქანები,
წელიწადში რამდენს იცვლის,
მაგრამ ველარ იპარპაშებს,

ავტომობილი — ლათინურ სიტყვაა და თვითმობრავს ნიშნავს, ესე იგი ძირითადი თვისება მანქანისა არის მოძრაობა, მოძრაობა წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, ხანდახან — ავარიაც. ზოგიერთებისათვის კიდევ ერთი თვისება გააჩნია მანქანას. იგი თურმე იყიდება და საკმაოდ ძვირადაც. იყიდება რამდენიმეჯერ, ზედმეტ ფასებში, ანუ მანქანა ქმნის სპეკულაციის საოცრად ხელსაყრელ პირობებს.

ზემოთ ჩამოთვლილმა გარემოებებმა საფუძველი ჩაუყარა მანქანის ყიდვა-გაყიდვის მოყვარულთა გახლებულ შეჯიბრებას. აღნიშნული შეჯიბრება მძაფრად გაიშალა თბილისში. როგორც შეჯიბრების მთავარი არბიტრი ავტონისპექცია იუწყება, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და პირველ ოთხ ადგილს ინაწილებენ სურენ მკრტიჩიანი, აშოტ მხჩიანი, მიხეილ მანუკიანი და სერგო მამაჯანოვი: ქულების რაოდენობით წინ მაინც სურენ მკრტიჩიანი. მან 1948 წლიდან 1961 წლამდე ორი „მოსკვიჩი“, ოთხი „პობედა“, ერთი „ობ. რ-4“ და ერთიც „ობ. სუპერი“ გამოიცივალა. აშოტ მხჩიანმა 1949 წლიდან 1961 წლამდე ხუთი „მოსკვიჩი“, ორი „პობედა“ და ერთი „ზიმი“ გამოიცივალა. ერთი შეხედვით პირველ ადგილზე აშოტი უნდა იყოს, რადგან მან ეს ოპერაციები სურენთან შედარებით უფრო მოკლე დროში ჩაატარა, მაგრამ სურენის უპირატესობა ის არის, რომ მას ორი საზღვარგარეთული მანქანა ჰქონდა. მიხეილ მანუკიანი და სერგო მამაჯანოვი ასევე რვა-რვა მანქანით მიჰყვებიან ლიდერებს, ისინი შეუზოვრად იბრძვიან ახალი მანქანების შესაძენად და სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ლიდერებს, ვნახოთ რას გვიჩვენებს მომავალი.

პირველობის დიდი პრეტენზიით მოვიდა შეჯიბრებაზე სერგო მამაჯანოვი, მან 7 წელიწადში რვაჯერ იყიდა და გაყიდა მანქანა და პირველობაზე მისი პრეტენზია ადვილი ასახსნელია, მაგრამ ამ ენერგიული ახალგაზრდის მოქმედებას ერთი დიდი ნაკლი აქვს, უკანასკნელად შეძენილი „პობედის“ გაყიდვა რატომღაც გაუჭიანურდა და, შეჯიბრების არბიტრთა აზრით, მას ფინიშ-



თან მისვლა შეიძლება გაუჭირდეს.

მხოლოდ ერთი მანქანით ჩამორჩება ლიდერებს შოთა ორთავაძე, მან 10-11 წლის მანძილზე მხოლოდ 7 მანქანის „გამოცვლა“ მოასწრო. მანქანათა მარკების მიხედვით არც ორთავაძეს აქვს საქმე ცუდად: „მ-1“, „ობელ კაპიტანი“, „პობედა“ და „ვოლგა“. არცთუ ისე ცუდი ასორტიმენტია, მაგრამ, ვფიქრობთ, მას მაინც დიდი ბრძოლა დასჭირდება, რათა დაკარგული ქულები აინაზღაუროს და ლიდერებს დაეწიოს.

შედარებით სუსტად გამოიყურება შეჯიბრების ფონზე რაფიელ რიქინაშვილი. ამ ათი წლის მანძილზე მის ხელში მხოლოდ ექვსმა მანქანამ გაიარა, ისიც მხოლოდ „მოსკვიჩებმა“. ავტოსპეკუ-

ლანტა შეჯიბრებაში რიქინაშვილის ასე უფერული გამოცვლა, ალბათ, მისი გამოუცდლობით აიხსნება. მეტი მუშაობა მართებს მწვრთნელს და თვით რიქინაშვილსაც, თორემ შეჯიბრება დასასრულს უახლოვდება, მერე გულდასაწყვეტი არაფერი იყოს.

როგორც ყველა შეჯიბრებას, ავტოსპეკულანტთა შეჯიბრებასაც ჰყავს თავისი აუტსაიდერები. ესენი არიან მარტინ ავაქოვი, მიხეილ მალხასიანი, სერგო მალავერდიანი, არუთინ მკრტიჩიანი და იაკობ რაგიმოვი. ეს გაქნილი ხუთეული ბევრით არაფრით ჩამოუვარდება ზემოთ ჩამოთვლილ გაქნილ ავტოსპეკულანტებს. მაგრამ რატომღაც ამ შეჯიბრებაში ჯეროვნად ვერ გამოიჩინეს თავი. იმედია, მსაჯთა

კოლეგია და მთავარი არბიტრები მთელი სისრულით გამოავლენენ მათ შესაძლებლობებს.

ამხანაგებო, შეჯიბრება დასასრულს უახლოვდება. საზეიმოდ ირთება დარბაზი, სადაც შეჯამებული იქნება ამ საინტერესო შეჯიბრების შედეგები. გამარჯვებულებს გადაეცემათ საპატიო სიგელები წარწერით: „საბრალდებულო დასკვნა“, ხოლო იმ პირებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი — „განაჩენი“.

შედეგების შეჯამების დროს არ უნდა დავივიწყოთ ის მუშაკებიც, რომლებიც ხელს უწყობდნენ ავტოსპეკულანტთა „მოღვაწეობას“. ხუმრობა ხომ არ არის, კაცმა წელიწადში ორ-სამჯერ მანქანა იყიდოს და გაყიდოს, ამას გაფორმება და გადაფორმება არ უნდა?

ავტოსპეკულანტური სპორტის მოყვარულნო, ნუ გამოტოვებთ შეჯიბრების ნურც ერთ დღეს და დაესწარით ფინალურ შეხვედრას!

3. ნიკოლოზიშვილი.

ხშირად ავტობუსების მარშრუტები დანიშნულია სწორედ იმ მიმართულებით, სადაც რკინიგზა უღებია.


ნან. ა. ბანძელაძისა



— ავტობუსებიც რკინიგზის სამმართველოს ხომ არ ეკუთვნის, მატარებლებს რომ არ შორდებიან?


— ეტყობა თავს იზღვევენ, მანქანა რომ გაფუჭდეს, მგზავრები მატარებელში გადასხდებიან.

ზოგიერთ რაიონში არ არის ფესხაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების შემკეთებელი სახელოსნოები.



— სად მიდიხარ, შეგობარო?
— აქ ვერსად მიმკურნალეს და ქალაქს მივაშურე დახმარებისათვის!

გეორგიანული მნიშვნელობა



მემორიალური სამასხვოს ნიშნავს და მემორიალურ დაფებს მარმარილოსაგან ამზადებენ. მემორიალურ დაფებს საპატიო პიროვნებათა და ისტორიულ მოვლენათა უკვდავყოფად აკრავენ. სოსუმის მარმარილოს მადარითსამმართველოს ყოფილმა უფროსმა აკაკი ბესარიონის-ძე ტოგონიძემ ჩინებულად იცოდა მარმარილოს უკვდავყოფელი ძალა (და მისი ფასიც) და სიცოცხლეშივე იზრუნა „საკუთარი“ მარმარილოთი უკვდავყო საკუთარი თავი.

და „უკვდავყო“ კიდევ. ერთადერთი დევიზი გამოიყენა აკაკიმ: გაქაფე და გამდიდრდიო. გაქაფვა ორნაირად ესმოდა აკაკის, ერთი მხრით, როგორც გაფლანგვა-გაღლმტვა და, მეორე მხრით, როგორც ქაფის მოკიდება, დაღლა, დაქანცვა, ერთი სიტყვით, მიძიმე შრომა.

ოღონდ ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობით თვითონ მოქმედებდა, თავისი ძმა-ბიჭებით, ხოლო მეორე მნიშვნელობის განხორციელება კარიერების მუშებს დაუთმო დიდსულოვნად.

დევიზის მეორე ნაწილი სულ თავისთვის დაიტოვა პატივცემულმა უფროსმა, შრომაში გაიქაფონ ერთნი, მათი ნაშრომი გაქაფონ სხვებმა, პირადად მისი მითითებითა და ბრძნული ხელმძღვანელობით და პირადად თვითონ გამდიდრდეს, როგორც უფროსი და წარმოების თავი და თავი.

ქვას რომ წვენი გამოადინო, დევგმირი უნდა იყო და ტოგონიძე იქცა ასეთ დევგმირად — 1957-61 წლების მანძილზე მისმა შნოიანმა და მარიფათიანმა თავმა ძველი ფულით 2 მილიონზე მეტი გამოადინა მარმარილოს ფქვილს და ნაფხვენებს, და განა მართ მათ: სახელმწიფო ბანკს და კარიერის მუშებს.

ასეთია მოსაზრებულობა-მოხერხებულობის, ერთი სიტყვით, გაწილობის სანუკვარი ნაყოფი.

დირექტორების უფლებები რატომ გააფართოვეს, თქვა თავისთვის ტოგონიძემ და მაღალი ფასები დააწესა მარმარილოს ნაფხვენებზე, მუშებს სანახევრო ფასზე ზეპირად გაურიგდა და ათასები ჩაიჯიბა.

ამას არ დასჯერდა, ახლა მკვდარი სულები მონახა, უწყისში რეხვა დ. რეხვიაშვილის გვარი და 1961 წელს 19.000 მანეთი გამოუწერა, მ. რეხვიაშვილის გვარზე 20.000 მანეთი — მათ მაგივრად ყალბი ხელმოწერა გაკეთდა და ფულმა ოჯახურ სალაროში ამოყო თავი.

ძაგანიას — 6.000 გამოუწერა კეკელიძეს — 10.000. ადგიშვილს, რომელმაც სულ სამიოდე დღე იმუშავა, 1960 წ. 1870 მან. გამოუწერა, 1961 წ. — 586 მანეთი და 60 კაპ. ახალი ფულით.

და ასე შემდეგ და ასე და ამგვარად. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს დიდი გამომუშავება არარსებულ, ეგრეთ წოდებულ მკვდარ სულებს ქონდათ, გოგოლის მკვდარ სულებს კი არა, ტოგონიძის და მისი დამკაშების მიერ შექმნილ მკვდარ სულებს.

ზოგჯერ ამ მკვდარი სულების სახელი, გვარი და მამის სახელი ნამდვილად არსებული ადამიანის გვარი და სახელი გახლდათ.

ასე, მაგალითად, 1961 წლის ივლისში ბულატერმა უგულავამ 190 მანეთი დაურიცხა ხელფასად ერთ-ერთ ასეთ მკვდარ სულს. ნამდვილად არსებულმა მუშებმა მისი გვარი უწყისში რომ ნახეს, უთხრეს შენზე ამდენი თანხა გამოწერილიო. მკვდარმა სულმა, არც აცია, არც აცხელა, გაცოცხლება მოისურვა, მოითხოვა, მომეცით გამოწერილი თანხაო. მოლარე იძულებული გახდა გაეცა ფული, მაგრამ 190 მანეთის ნაცვლად 90 მანეთი აკმარა, რა გავიკეთებია, ფულს რომ მიხვოვ, წადი, ესეც გეყოფაო.

1961 წლის ივლისის პაპანებაში სამტრედიისაკენ მიქტოდა სატვირთო მანქანა, რომელზედაც ორი ტონა ნაფხვენი ეყარა. ავტონისპექტორმა გააჩერა საექვო ტვირთიანი მანქანა და საბუთი მოითხოვა. მოქალაქე მელქაძემ, რომელსაც ნაფხვენი მიქტონდა, წარბიც არ შეიხარა, ჯიბიდან საბუთი ამოიღო და ავტონისპექტორს თვალეში ააფარა. ავტონისპექტორმა ნახა, საბუთი უბეჭდო რომ იყო, მანქანა დააკავა, მოქალაქეს ბეჭდიანი საბუთის მოტანა მოსთხოვა. გაოგნებული მელქაძე დაბრუნდა უკან და ბულატერ უგულავას მოახსენა საბუთი უბეჭდოაო. უგულავას წარბი არ შეუხრია, ისე დაუსვა ბეჭედი და ეს მამნი, როცა მის სიყალბეებს რევიზია არკვევდა.

აი უსირცხვილობისა და თავხედობის კლასიკური ნიმუში.

1961 წლის 8 ივნისს წვიმდა კარიერების მიდამოებში. ადრე უფრო ძლიერი თავხედები ყოფილა, მაგრამ ამ წვიმამ დიდებული იდეა ჩაუსახა ტოგონიძეს და მის ძმა-ბიჭებს. დაადგინეს, დაქვევლი წვიმის წყალი შემოსავლის წყაროდ ექციათ. ჰოდა, ასეც მოიქცნენ. შეადგინეს აქტი, რომ ახალშენის კარიერზე ნიაღვარმა წაიღო 2.600 ტონა მარმარილოს გადამუშავებული მოზაიკური ნაფხვენი. მოაწერეს ხელი, მოაწერინეს ხელი ახალშენის სოფსაბჭოს თავმჯდომარეს, იმავე დღეს თბილისში აფრინეს კაცი და წარუდგინეს საქსამთამადლო მრეწველობის ტრესტის მთავარ ინჟინერს მონცელიძეს, ამ უკანასკნელმა, ყოველგვარი შემოწმების გარეშე ნოტარიალური სიზუსტით დაამტკიცა აქტი ჭეშმარიტებას დალადებსო. ამ ერთმა ხელის მოწერამ კომინატორებს 30.000 მანეთი (ახალი ფულით) „ჩაუჯიბა“, მაგრამ მალე ჩაეარდა კოვზი ნაცარში, სათანადო ორგანომ გამოარკვია, რომ აქტიურად აქტიზებული 2.600 ტონა ნაფხვენი ადგილზე იყო.

რევიზიის მასალაზე 19 ტომის მალწია. მონცელიძემ ყოველნაირად დაიცვა ტოგონიძე და ძმანი მისნი, მერე რევიზორი გედევანიშვილი აფრინა ადგილზე, გედევანიშვილმა უფრთებო ანგელისის სახე მიიღო, ნდობა „მოიხვეჭა“, აღნიშნულ ტომებთან თავისუფალი მისვლა-მისვლა გააჩადა, 2 ტომი მოიპარა და ორი სხვა ტომიდან 120 ათასი მანეთის (ახალი ფულით) ფაქტიური დოკუმენტები შეკვალა.

ქ. სოსუმის პროკურატურის გამომძიებელმა გვაზავამ საქართველოს პროკურატურაში საქმის ვითარება ისე დახატა, რომ კარიერებზე ბუზიც არ აფრენილა და ტოგონიძისა და მისი თანამშრომლების მიმართ წაყენებული ბრალდება უსაფუძვლოაო. მაგრამ მახათი ტომარაში არ დაიმალა და გამოჩნდა სიმართლე — დადგინდა ისიც, რომ ტოგონიძეს მარიფათი გამოუჩენია და სამგან დაუღია ბინა თბილისში, ქუთაისსა და სოსუმში. აი სოსუმში ააშენა მარმარილოს სასახლე, რომელზედაც, სპეციალისტების აზრით, 40 ტონამდე მარმარილოს მოზაიკური ნაფხვენი დაიხარჯა.

ტოგონიძე და მისი ძმაბიჭები რევიზორ გედევანიშვილთან ერთად სხედან. რაზედაც არ უნდა ფიქრობდნენ ისინი, მათი ღვაწლი მარმარილოზე აღსაბეჭდი: „გეგონდა კარიერა და ვფლობდით კარიერებს, ვართ დაკეტილი კარიერები უკარიერებოდ და უკარიეროდ“.



მონაბა უფროსის გულის ვასალები.

«სინკა-ლილა» კი არა — მარკილილა

სულაც არ დუბანია გამოით და გამყინდელ — „სინკა-ლილა“, „სინკა-ლილა“ ფერის ბაზრის პირდაპირ მოთავსებული რკინა-კაგე-რის მალბრის გამოყენდეს. მაგარა, რომცა ვითხებ, ლოთ თუ ვაჭოთ-მეოთხი, უცუთესი არ შეიძლება, ქალბატონო, მიპასუხა თავიანძვალ და შეკრები გადმო-მილაგა.

დიასახლის ანგარიშით ზუთი შეყვრა უნდა შეყვას, მაგრამ, რაკ უკუთხებ უკუთხეს მიაგავრო, ყაბიჯით გამოვიტოვო, თადარიგე დაიბოთე და ათი ცლო ვიციდე. შინ მისდულა შეყვრა ვაგვსინ და დილადავებელი მართო შეგრა ზელში. თვალს არ დავუგვრე, ვაგვსინ მეორე, ვაგვსინ მესამე, მაგრამ სავყე არ ვაგვს. როგორც პირველი იყო, ისეივე ამოინდნა მეორეც მესამეც და აქვლა და არაჩინი.

ვიცი, მართლ და ლლა ერთი თოვითი ერთი ნეთოსავებიაან ერ-თმანდეს, ერთი იხსენბა წყალად და მეორეც მაგრამ სარეცს თუ დილადავებელი და, დამართლუ-და სპირტდებობ, ეს ახლა ვაგი-ბე.

თილოსის ყრუ-მუნჯის საზო-გადოების სასწრაფო-საწარმოო წარმუშევარი როგორც ჩანს, ჰკვი-რის ხალხი მსხდარს, უნარგონის-ათი, რომ მართლსაფრის ახლა აღ-

ზეგანს წასვლა სულაც არ არის სა-ჭირო, რაღაც კაპიკებად ყოველ სასურსათო მოღვაწის იმდენს შე-იძებ, რამდენიც სულსა და გულს ესიაბებინება. თანაც ლილას დამ-ზადებდა უნდა და, რაც ამ შემთხვე-ვაში მოთავსებ მოთავსია, იგი გა-კილებით ძვირი იღოს, ვიდრე მა-რილი. პოდა, თუ მარლის ლილად ვასალებ, თეთრინაც გამაღრდრ-ბი და გასუქებდეს.

ჩემი უმრავლ დიასახლისური აზრით, არ უნდა ტყუოდეს ადამიანი, არ უნდა ტყუოდეს სასწრა-ფო-საწარმოო წარმუშევან, მა-რილს ლილად არ უნდა ასა-ღებდეს და ეს ვალდებულებით სხვა დიასახლისოსაც რომ ვაგანდე, მთავრ იგივე აზრი გამო-თქვას უფრო მეტიც, ასეთი მა-რილს ლილას გამოშვებთ ყარვა ლახთანინ დილადავებელ მოუხ-დებდით, და შეიძლება ეს აზრი ისე ვადამალდებოთ არ იყოს, რო-გორც ეს მართლდა, გულდამწე-ვარი რომ დავუთხრებ ახლა.

ალბათ, ხსენებულ საწარმოს მესვეურებმა „ალბუჯის“ წყავლ მაილბრეს ახალ ვარიანტს მიგე-რიან: „ალბუჯის წყავლ ლილა-ზე“.

დრო შეემაყვებინით ეს სიმ-ღერა.

თ. ცალკაბანიძე

წიგნი უკრებავი

პირბრძოლი მარკოსო
მარკოსო უთხობს: კრიტიკა შენი ჩვენ გვეჭრა ნაკლებად; შენ ისე ბერავ ველაფერს, ბუნს მოგვაჩვენებ აქლმად.

ალბუჯის ამბობია
მას კრიტიკოსნი ამკობენ მარკულად თქვეულ დიდებით, ხოლო „საქეჩენში“ ამბობენ: — მარკულტურით ვმდიდრდებით.

ახარის ნახვრა
მე სპორტში, ვარდა კრივისა, არ მინატრია სხვა რამე, რაც უფროა იქ, მათი, სხვას თურქეთში და ვარა მე.

მის. გომარაშვილი

თუ საღებ სამართალია, ამ ფელტონს გოგოლა უნდა წერდეს, რადგან მას მსგავსი ამბების მბატკურ ფორმებში ჩამოყალიბების დიდი გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ რას იზამ, გოგოლა აღარ გვეყის და გრიგოლ ჩხე-ციკის ისტორიის ზედიზედ გაშვება ისეთივე დასანინ იქნებოდა, როგორც „მკდარი სუ-ლებში“ დუშურებდა. მაართალია, გრიგოლ ჩხეციკლი ჩიხიცივი არ არის და მასეით მკდარი სულგან არ ეტყულებს პლემურისა და საპავერისაგან, მაგრამ გრიგოლ ჩხეციკლი იხსენებენ რაიონის სოფელ ატრიალის ექ-თანია და ისეთ საქმეებს ეტრიალებს, ჩიხი-ციკს არ დაესაზმებოდა.

მიანც რას აკეთებს ასეთს გრიგოლ ჩხეციკო? რას აკეთებს და მან გადაე-წყვიტა როლი თამაში სოფელ ატრიალის მისახალისის სწრაფ ზრდისი. რა გზით? ახ-ლევ მოვახსენებ.

ცნობილია რომ ჩემი სახელწოდო გიო-დროულ დამატრებს უწევს მრავალგოლიან დედებს. დებრბა შეარგოთ, უნდა რომ 6 და 9 შვილს გაუზრდის მამულს, ღელა დაბ-ნისი, ამა რა?

მაგრამ გრიგოლმა მოსახლეობის ზრდის ახალი მეთოდი შეიმუშავა. მან ვაკილებით გაამართვია რთულ საყობით, რომელიც ბავ-შეის ზრდასთან არის დაკავშირებული. მართ-ლაც და მწელი არ არის ბავშვის აღზრდა? ჯერ ერთი და ბავშვს ავადინ სკრებდება, ავადინ — დაარევა, მეორე რამე, კვირბის, კარკი, გოგ-ლიწოლი, ბინების ფავა, ათასნაირი ვივა-მინი, ფესხაყელი, ტრანსპიკელი, სათამაშოე-ბი. რომ წამოიზრდებ — სკოლა, წყინი და ათასი რამე. ამდენი წყავლებს შემდეგ, ყიცი-გამოვა თუ არა, ყველ საქობიანა, პიდა, გრიგოლმა იფიქრა, ყველაფერს ამას არ აი-ბუნებ უბრალო ცნობა დაწეროს, რომ ესაა და ეს ბავშვი განრდა ქვეყანაზე? რა თუა უნდა, აიკობნოს და დაწერა გრიგოლმა ცნობა:

საქეჩენში

ქვეითი წამლი გამოეწერა, წამლადაც ვერ იშოვა. ქმანის სხედა და ცლო კი ძმარს ადგენდა ცნობრიდან. ნოქადაც: სარჩენი ერთი ანთვე შავის და მიმბარებელი — ათასით.

გულგებებს მიღებულს ადგმა უძობლად და ფუბრბობებს — კარას.

განჯახებს: თქვენ სასუნუნში ხალხი რას უფრო განბნება და სას წყინო.

შოგერისს ატარებდა: და უფროსი — დრის.

რესბის მხარე იყო, მაგრამ ბუნების ბრული მაინც ბბბბლ. გრძელს ნაქრდალმა სასახლედ აუღო და ანდებდა

3. შავარაშვილი



— „ლა გვიყავარ, ვაფიკო? — ცვა მამაშენის ბინას, ვოლასა და თანამე-ბობას

ვინ იტყვებოდა ჩოხანამ

„შე გურჯია ექვია კახაბის ასულს მას-სე, მას დამწილად ჰყავს ზემით ჩა-მოდო შვილები: ლენა, ნურა, იფრა, ჩა-ნილიდა, ნიკოლოზი, მინდარია, ნელი და დე ნესტორის ასული, დაბადებული 15/VI-11 წელს“.

ჯგერმათიფილი 8 შვილი მართლაც არსებდა ლებრბო ყარვალ და ჯანმრე-ტელ გოუს. მაგრამ ეს ფლორია ვინ არის, სიდიდნობა ფლორია ჯერ არ განებინლა და არც აბირებდა განჩენს, გრი-გოლს რომ ფული არ დასჭირებო-და.

პოლსკირდა გრიგოლს ფული. დაწერა ცნობა: „წერილია ხელი ცნობაზე სასოფლო საბჭოს თამგზობდობარს თდეგობა შეიგანს ველიმბერ კონსიათა მრავალ ექვია გერბის, თანა გერბიაან ცნობა სალორში მორაგე ფლო-რიადა და 1961 წლის 15 აგვისტო-ღმწიფიფი ბანკს გასცა „პატარა შობილებზე 175 მანეთი.“

ჩოხომ იძინა მონაზე

1961 წლის 7 ოქტომბერს, თბილისში რომ დღეი მიიწ-ძერა მიხება?

რა, არ გიგებრბო? შუგუდებელია მავალიდაც, თბი-ლისის საქალაქო საბჭოს საფინანსო განყოფილების თანამ-შრომლები 6 მარტიოსი, ა. მტკვრელი 6. დღედაიანი და აბრუშაშუბლი ფარისის მუშაკი 6. ბილადაც თუნდ ხატვს დადიებენ, რომ იტრბეს იტრბეს და დღესაც გიგებრბო.

სესიმბრატყვება კი იმაც წუბს აღნიშნა, რომ მიწახბრის პოლიტბრეტი მდებარეა ქალქის სამრეფო-დასავლეთი, კერძოდ, წყნეთის გზატკეცილზე. 36 6 სახლის სიგნოთი ბი-ნის იტაკია ქვეშ, ხოლო ვიგებრბო შედარებით ხეინა ვე-არცხდა და გიგებრბოს მხა მიბედალ მიწაზე ამ სახლს მუბატორენ ქალქის ფინანსი, თბილისის საბჭოს საპრო-ტო ინსტიტუტის და IX სამშენებლო სამმართველოს ზოგიერ-ტი თამაშრომლის ნაკლებდ მერანობაზე უფრს, ხოლო ჯერ კიდევ არ მიუღწეია რინა-ბეგონის ნაწიბის 36 4 კომბინატს. თუნც კარგი იქნება თუ იქაც მიალწუნ და „რინა სესმე“, რინა ზოგჯერ ტრეგონის მოხვევა ხოლმე ეს ამბეი ნინებს ვინა მუბატორენ, მაგრამ, ვაყო თუ არა, შეთხვევის ადვალზე განდა და მის უბნს წყნაში შემიგან აღნიშნული გაცხდა: სახლის მშენებლობა ქალქის ფინანსი დაუწყებია. შუგან პროექტი მაგარამ ფინანსი სდ-ელ ანგარიში შეუხადა და, რაკი მიბნია არ ცუო, ვაგე-რცხა სარდაფის საბოლნის ვაშრეფ ვერტლადის მო-ღებლობა კიდევ ოთხი ბინა ანთ. ეც ვიციბდეს ეს მარ-თალი, და ვინ არ იყოს, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში სარ-დაფიბინდა ხალხი ამოქვდა და მაღლა სარდაფობა ასა-ლებენ, ქალქის ფინანსი პირიქც ვაშრეფობა პროექტს გადაადგებენ. და აქ მოწვევ კიდევ იქნენ მიბედალნი: დღესაც რაკი განიფილდა, იმ ოთხი თოთხთხობანი ბინის ოღებობა ზედ მიწაზე უსამრეფობა და უკუბრე-დავას უარგავდა. — მიწას იტაკეს შობის ანა-სარტობის სისხის ბეჭეობა, ვაშრეფი (ბეჭიტი და არა რაკიბეჭეობა), ზედ გიგებრბო იფიქრა, შეუბნეს და მუშაობდა და დაბნაბედა, მაგრამ სადღაც ვაშრეფი-

მიღიდან წყალზე იქნა და მან დასრულდა, მიწა ბეჭტის გამოცემა, ბეჭეობის მსახურს სეგნაშუბლი და მიწაზეც დასვა ტიპობა და უბნობილ იქნეს საყოფი-სიბინის მშენებლის ტეფიფიფი ტეფიფი და კინაზე იქ მავტორებულს თუნც დაწვებენ.

მშენებნი გამოიხალხდა. მას შუგულ რვა თვე ვაგედა. მარტიოსიფი, მებრეველ დედაჩინი და ბილადაც სადღაც ნაქრებთ თთანინ ცნო-ბობენ.

ბანკში მთი ხელმწიფად ტაბიტი ამქნეს ამ სახლის პირველად ამრეფებელი IX სამშენებლო სამმარ-თელსაგანს მშენებლობა და ვაი ასეი მშენებლობა.

ამ IX სამმართველოს ამ რვა თვეი რვა ასული სახლი აყო, იმ ოთხ ბინას კი საშენი არ დადაცა, რადგან: 1) საპროტო ინსტიტუტმა ამ სახლის მსახურს შექ-მირებული-გადაკეთებულ პროექტს ოთხი თვის დაფიციბებით, ანუ 1962 წლის 15 თებერვალს დაამაბინა.

2) კაბატული მშენებლის სამმართველოს დღესაც არ გადაკვანია ხარჯთაღივებია IX სამმარ-თელსაგანს მშენებლობა კი აუბინა სტრუქციონის ხარჯზე სება.

3) მთავრობისმუნქის რანგბატონის ნაწიბის 36 4 კომბინატ, რომელსაც დეკემბ 12 აპრლს მიიღო, რამე-რეც აბირებდა და არ უბნების IX სამმართველოს სწრა-ვობა ფილეს, უბნობისდაც ამ ოთხ ბინას ვინ ააშენებენ.

4) მართალია, ქალქის საბჭოს სესიებამ ამ სახლის ინ-ტეველ ლამაზად აყო, მაგრამ სახლის არსებობის მოთე-ზობით, რომ მიბედალნი მოწინა მიბედალნი რომ ამ აკვლას მიბედალნი ბანკში მოწინა ცნობა ამბინებთ ცნობრბ-დენ და კვლავ იქ უნდა იფიქროს.

ეს ოთხი ბინა ჯგერბობით იბრბენ.

ნაწიფი მიბედალნი, ვიდრე სადღაც ჯერ არს მიბინებნას დაგარბენ და დანაშაუბს ბაუბეს მისიხებენ.

მთაწინიანაშარაკაშვილი

ნახ. E. მანუჩიანი



— რა დაგეგმავთ, კაცო, დასველებას ნაცვლად, მიე-ლი ღამე დასასვენებელ სახლს რომ ააშენებენ?
— რა ვა, ძმარ, დირექტორს თანა მუშაობის ხე ვაგავს ჩვენი ოთახი, რომ ჰყარა ათასი გვეფთხის სა-სუნთქავად!

ავჯალის მუშათა კოლექტივის №1 სასადილოს მებუფეტე, რომ იტყვიან, უმაღლესი ხარისხის ელექტრონული გამომთვლელი მანქანის სისწრაფით ხმარობდა ციფრებს. შეჯამებისას მან ისე ელვისებურად ამოძრავა საანგარიშოს რგოლები, რომ ისინი, რაღაცა სასწაულით შერჩნენ მავთულებს და საკვირველია, რომ კოსმოსურ სივრცეში არ გაფრინდნენ.

ჩვენ თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარით, რომ საანგარიშოზე გამოისახა საბოლოო ჯამი.

ამაყური თავმდაბლობით, ანდა შეიძლება თავმდაბლური სიამაყითაც, თითქოს მას ახლახან გამოეყვანოს სინგულარულ-ინტეგრალური განტოლება გარღვევის კოეფიციენტებით, მებუფეტემ შემდეგი განაცხადა:

— 15 მანეთი და 70 კაპიკი, ბატონო.


საანგარიშოზე კი ჯერ ისევ თრთოდნენ რგოლები, იგრძნობოდა, რომ მათ ძალა არ უოფნიდათ, რათა ერთბაშად შეეჩერებინათ ინერციით მინიჭებული მოძრაობა.

თუმცა ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ ისინი ინერციის გამო თრთოდნენ და არა სხვა მიზეზის გამო.

— სწორად არის ნაანგარიშევი?

— ეჭვი გეპარებათ? გამოდის, რომ მოგატყუეთ? ვინ? მე? ვის? თქვენ? სად? აქ? როდის? ახლა?!

ნახ. ვ. ჭუმბურიძისა



ზოგიერთი ქარხნის დირექტორის კაბინეტისა და სასადილოს ფართობის შედარების სურათი.

მებუფეტის მთელი სხეული კეთილმოხილურ აღმფრთხილებას გამოსახავდა. მან შეურაცხყოფილი უმანკოების პოზა მიიღო და დამწყები ტრაგიკოსის ტონით ისროდა კითხვითს და ძახილის ნიშნებს.

მაგრამ უკვე დიდი ხანია ცნობილი, რომ იქ, სადაც ლაპარაკია ციფრებზე, კითხვითი და ძახილი ინტონაციები ზედმეტია. ამ შემთხვევაში სხვა რამეზეა მოთხოვნილება. ჩვენ მოვითხოვეთ მენიუ, ზედნაღები, ფაქტურა და სხვა საბუთები. ავიღეთ ისინი ხელში და გამოვიყვანეთ საბოლოო ჯამი. იგი აღმოჩნდა ჩვენს სასარგებლოდ საკმაოდ დიდი ანგარიშით, ჩვენი ურთიერთობა მებუფეტე ჯოხაძესთან შეიძლებოდა შემდეგი მარტივი განტოლებით გამოგვეხატა:

15 მან. 70 კაპ.—11 მან. 64 კაპ.—

4 მან. 06 კაპ. სადაც პირველი რიცხვი — მებუფეტის მიერ ნაანგარიშევი თანხაა, ხოლო მეორე — მის მიერ ჩვენთვის მოყიდული პროდუქტების ნამდვილი საფასური. რაც შეეხება მესამე რიცხვს, იგი უბრალოდ განსაზღვრავს მებუფეტის თაღლითური ოპერაციის ზომას. ნათქვამია არცთუ ისე კეთილხმოვნად, მაგრამ სრულიად ზუსტად, როგორც მათემატიკაშია საჭირო.

სადაც ფაქტებია, აქტებიც იქაა. ეს არც ისე ბრწყინვალე ლიტერატურაა, მაგრამ რა გაეწყობა. ჩაუჯექი თხზულებას იმის შესახებ, თუ როგორ და რამდენით მოგვატყუეს.

ამ არცთუ ისე მზიარული საქმიანობის დროს გავიცანით სასადილოს გამგე. ისიც თავიდანვე შეკითხვებითა და შეძახილებით შეგვხვდა, რაც პირდაპირ არ შეეხებოდა საქმეს.

— მოტყუება?... ზედმეტის აღება?... ჩვენთან?... შეუძლებელია!.. არასოდეს!..

შემდეგ ოდნავ დაფიქრდა, ხელი გამოგვიწოდა და თავი გაგვაცნო:

— ერვანდ ივანეს-ძე სარუმოვი! ვიცნობდეთ. რა შეკითხვები გექნებათ?

შეკითხვა მაშინვე დაგვებადა, როგორც კი გამგის გვარი გავიგონეთ, მაგრამ მისი დასმა ოდნავ გვეუხერხებოდა. უხერხულად მიგვაჩნდა გველიარებინა ჩვენი გულმავიწყობა. ჩვენ ხომ სადაც ოდესღაც გავიგონილი გვქონდა ეს გვარი. მაგრამ სად და როდის?

— სარუმოვი... სარუმოვი... მაშ სად და როდის?

უცებ გაგვახსენდა.

— რა თქმა უნდა! ეს როგორ დაგვაიწყდა? ჟურნალ „ნიანგში“ — აი სად! მეშვიდე გვერდზე! ზემო მარცხენა კუთხეში! გასული წლის აგვისტოს ნომერში! აი სად და როდის შევხვდით ჩვენ სასადილოს გამგეს ერვანდ ივანეს-ძე სარუმოვს!!

ეს შეხვედრა სასიამოვნო შეხვედრების რიცხვს არ ეკუთვნოდა. ანდა რა სიამოვნებას უნდა მოელოდე ფელეტონის გამირთან შეხვედრისას. ეს ფელე-

ტონი ხომ დაბეჭდილი იყო სათაურით „სოღანლუღელი ქორვაჭრები“.

და აი ჩვენ კვლავ შევხვდით მას მსგავს მეტად არასასიამოვნო გარემოებაში. იქაც და აქაც ერვანდ ივანეს-ძე სასადილოს მაქინაციების დამცველად და სულის ჩანდგმელად მოგვევლინა. მხოლოდ ის სასადილო სოღანლუღში იყო, ახლანდელი კი ქალაქის მოპირდაპირე ბოლოში.

რა შეიცვალა ერვანდ ივანეს-ძის ცხოვრებაში უკანასკნელი 10 თვის განმავლობაში, რაც ფელეტონის გამოქვეყნების მომენტიდან გავიდა.

არცთუ ისე ცოტა რამ შეიცვალა. ერთი, როგორც უკვე ცნობილია, ფელეტონის გამირმა გამოიცივლა სამუშაო ადგილი. ეს მან დაუყოვნებლივ გააკეთა. 16 აგვისტოს გამოქვეყნდა ფელეტონი, სადაც გამოაშკარავდა მისი მაქინაციები სოღანლუღის სასადილოში, ხოლო ორი დღის შემდეგ, 18 აგვისტოს სამგორის რაისამომხმარებლო კავშირმა უკვე გადაიყვანა იგი დიღმის სასადილოს გამგედ.

ჯერ ერთი ეს, ხოლო მეორეც იგი სამი თვის შემდეგ კვლავ გადაბარგდა, ამჯერად ავჯალის მუშათა კოლექტივის სასადილოში, ზაპესის გვერდით. სადაც თავზე დავადექით ახლა...

არის სხვა ცვლილებებიც ერვანდ ივანეს-ძის ცხოვრებაში: კომპაქტური „მოსკვიჩი“ მან უფრო ფართო „ვოლგით“ შეცვალა, ხოლო ძველი სახლი, რომელიც მას ზედმეტად კომპაქტურად ეჩვენა, შეცვალა მეორეთი, ისიც უფრო ფართოთი.

აი თითქმის ყველა ცვლილება. სხვა მხრივ, კი, ცხადია, როგორც იყო, ისეთივე დარჩა. აქ იმედები ცვლილებებისა თითქმის არ არის. ამას ჩვენ ღრმა მწუხარებით აღვნიშნავთ.

მაგრამ ერთი ცვლილების იმედი მაინც გვაქვს. სულიერი თრთოლვით მოველით ჩვენ ცვლილებებს იმ ორგანიზაციის მუშაობაში, რომელიც სასადილოს გამგეების კადრებს განაგებს.

ნუთუ ამჯერადაც ეს ფელეტონი მხოლოდ იმ დასკვნამდე მიიყვანს ცეკავშირის ხელმძღვანელ ამხანაგებს, რომ ერვანდ ივანეს-ძეს სასადილოს გამგის ახალი ადგილი გამოუტყებონ?

ეს დაუშვებელია! ამ იმედით ვცოცხლობთ.

ა. ყიფიანი,
ს. სვანიძე,
ა. მარიანაშვილი



ზუსტად ვერ მრგახსენებთ, მაგრამ თუ არ ვცდები, მედიცინის მიერ ასეა დადგენილი: ადამიანი უჭმელი დაახლოებით 40 დღეს ძლებს, უწყლოდ კი მხოლოდ შვიდს. აქედან დასკვნა: უჭმელობას ერთ ხანს გაუძლებს კაცი, მაგრამ წყალი, თურმე, პაერივით საჭირო ყოფილა ადამიანისათვის. ამ დასკვნამდე მედიცინის მეცნიერებისგან სრულიად დამოუკიდებლად მივიღწეე 1960 წლის კვირიკობისთვის რუსთაველის პროსპექტის №37 სახლის ბინადარნი, როდესაც ონკანებში წყალი შეწყდა და დაიწყო გვალვა. მეშვიდე დღეს, მიადწია რა ორგანიზმმა უწყლობით არსებობის კრიტიკულ მომენტს, ორმოცი ოჯახის მიერ 1960 წ. 8 აგვისტოს თბილწყალსადენის სამმართველოს უფროსის სახელზე დაიწერა განცხადება, რომ „რუსთაველის პროსპექტის №37 სახლის ბინადარნი ვიზრჩობით უწყლობით იმის გამო, რომ ჩვენი წილი წყალი მიაქვს რესტორან „ყაზბეგს“ და მის გვერდით მდებარე „გასტრონომს“ მაცივართა კომპრესორების გასაგრილებლად. გთხოვთ მიიღოთ სასწრაფო ზომები“. ანალოგიური განცხადება გაეგზავნა კალინინის სახელობის რაიპროკურატურას. პროკურატურამ განცხადება კალინინის რაილმასკომის თავმჯდომარეს გადაუგზავნა.


ეს იყო და ეს. გავიდა ორი წელი. რესტორან „ყაზბეგისა“ და „გასტრონომის“ მაცივრები თავს გაცილებით უკეთ გრძნობენ, ვიდრე უწყლოდ დარჩენილი 40 ბინადარი. ვისაც ეს საქმე ეხება, იმათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ამ ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა რესტორან „ყაზბეგისა“ და „გასტრონომის“ კომპრესორთა გადახურების არც ერთი შემთხვევა.

1962 წლის 2 თებერვალს თბილისის საბჭოს სახელზე კიდევ ერთი განცხადება დაიწერა დაგვალული შენობის გავარჯერებულ დერეფნებში. მას მეორე განცხადება მიჰყვა თბილწყალსადენის სამმართველოს სახელზე.


თბილწყალსადენის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მთავარმა ინჟინერმა ამხ. ბახტაძემ და საექსპლოატაციო ქსელის განყოფილების უფროსმა ჭავჭავაძემ თავის მხრივ 1962 წლის 15 მაისს აცნობეს, სადაც ჯერ არს, რომ №37-ში V და VI სადარბაზო შესასვლელში მცხოვრებმა მოქალაქეებმა საკმაოდ დიდი გმირობა გამოიჩინეს ამ ორი წლის განმავლობაში, რომ ასეთ გამოცდას ვერ გაუძლებდა საპარამი მცხოვრები ვერც ერთი სულიერი, და, რომ დრო აწი ცოტა კომპრესორებმა გაიჭირვონ, ხოლო მოსახლეობას მიეცეს კუთვნილი წყალი. უფრო მეტიც, საჭიროა გაყვანილ იქნას მილების ახალი დამოუკიდებელი ქსელი, მაგრამ საქმე გამოგელიათ? სად არის წყალი?

საინტერესოა რამდენ ხანს გაუძლებენ რუსთაველის პროსპექტის №37-ში მცხოვრებნი უწყლობას, მაგრამ უფრო საინტერესოა, როგორ მოიქცეოდნენ და როდემდე გაუძლებდნენ ამ საქმის მიმდევრებლები უწყლობას, აღნიშნულ შენობაში რომ ცხოვრობდნენ.

კომპრესორი



ნანგი ჟიჟი-საქართველო
ი ს ე ვ თ ა ვ ი დ ა ნ




ხეივანი ზუზუქრად ქვლებთან

ამ ხეს დიდი ხნის განმავლობაში ეგონა, რომ მის მოვალეობას მხოლოდ ბალის მოსხმა შეადგენდა, მაგრამ აშენდა ძეგვში კლუბი და ტყის „მეგობრებმა“ ჯერ ელექტრონის ხაზი მოახვიეს ქეჩოზე, შემდეგ ტელეფონისა და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ თავი ბურღებითა და კოჭის კუნწულებით აუვსეს. დიდხანს უარობდა საცოდავი, რას მერჩით, ბალის მოსხმა შემოძლია, მიიღეთ რამდენიც გინდათ, ვინ ამბობს უარსო, მაგრამ ვინ დაუჯერა. დგას ახლა კლუბის გვერდით საპასუხისმგებლო საქმეებით დატვირთული ზეზეურად მკვდარი ხე და ბლის კურკებივით სცვივა კენწეროდან ხან დეპეშები და ხან გამოძახებები.

არავინ იცის ამ სასიქადულო თაოსნობამ რამდენი მანეთის ეკონომია მისცა ბულალტერიას. ერთი კი ცხადია, იშვიათად თუ ვინმეს უნახავს ფესვიანი და ორმოს გარეშე ჩარჭობილი ბოძი. ახლა სხვა უბნებშიაც რომ გამოუჩნდნენ მიმბაძველები ასეთნაირ „ტყის მეგობრებს“, ძეგვში წამლად ერთი ხეც აღარ დარჩება.

3. არაგველი



324 69
23/4

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჯელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нанги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის განჯ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 15/VI-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 1176, უფ. 03776 ტირაჟი 4000



მძიმე უღელი „საერთო
ბაზრის“ სახელით